


ფლორა და ფაუნა

მრავალფეროვნება და რეგიონალური უნიკალურობა



იაპონური წეროები კუმბო სვამპ-ი (ჰოკაიდოს პრეფექტურა) დაცული სახეობები იაპონიაში, ეს იშვიათი ჯიშის წერო ბინადრობს მხოლოდ ციმბირსა და ჰოკაიდოში

იაპონიის ფლორა

იაპონიის ფლორა გამოირჩევა მრავალფეროვანებით. იაპონიაში ხარობს დაახლოებით 4500-მდე მცენარის სახეობა (3950 ანგიოსპერმის, 40 ჰიმნოსპერმისა და 500 გვიმრის ადგილობრივი ჯიშები) ამათგან ანგიოსპერმისა და ჰიმნოსპერმის 1600-მდე სახეობა ენდემურია.

მცენარეთა ნაირსახეობების სიმრავლე საოცრად მრავალფეროვანი კლიმატის ანარეკლია, რომელიც დამახასიათებელია 3500 კილომეტრზე (2175 მილი) ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმული იაპონიის არქიპელაგისთვის. საუცხოო კლიმატურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ტემპერატურათა ფართო დიაპაზონი და გამორჩეული უხვნალექიანობა, რაც ქმნის ნოყიერ გარემოს მრავალფეროვანი ფლორისთვის. იაპონიის 70% ტყის საფართოაა დაფარული, რაც მკვეთრ გავლენას ახდენს კლიმატზე. ფოთლები იცვლიან ფერს წელიწადის დროების შესაბამისად.

მცენარეთა სახეობები განაწილებულია შემდეგი ხუთი ზონის მიხედვით, რომლიც განლაგებულია აღმოსავლეთ აზიის ზომიერი ჰავის ზონაში: (1) სუბტროპიკული ზონა, რომელიც მოიცავს რიუკიუს და ოგაშავარას კუნძულთა ერთობლიობებს; (2) თბილი ტემპერატურის ზონა ფართოფოთლოვანი და მარადმწვანე ტყეებით, რომელიც ვრცელდება სამხრეთ ჰონშიუს, შიკოკუს და კიუშიუს უმეტეს ნაწილზე, რომლის ნიშანდობლივი მახასიათებელი არის მუხის ხის სხვადასხვა ჯიშები, კერძოდ, შიი და კაში; (3) გრილი ტემპერატურის ზონა ფართოფოთლოვანი და პერიოდულად ფოთოლმცვენი ტყეებით, რომელიც ვრცელდება ცენტრალურ და ჩრდილოეთ ჰონშიუს და აგრეთვე ჰოკაიდოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე; აქ ხშირად გვხვდება იაპონური წიფელი და სხვადასხვა ფართოდ გავრცელებული სახეობის ხეები; (4) სუბალპური ზონა, რომელიც ვრცელდება ცენტრალურ და ჩრდილოეთ ჰოკაიდოზე; აქ შედის წიწვოვანი მცენარეები, როგორცაა სახალინური სოჭი და იესსო-ს ნაძვი; (5) ალპური ზონა, ვრცელდება ჰონსიუს ცენტრალურ მთიანეთსა და ჰოკაიდოს ცენტრალურ ნაწილში, სადაც ხარობენ ალპური მცენარეები, მაგალითად კომაკუსა (*Dicentra Peregrina*).

იაპონიისთვის დამახასიათებელი მცენარეები

მაცუ და სუგი (იაპონური ფიჭვი და კედარი) გავრცელებულია იაპონიის მთელს არქიპელაგზე და ასევე გვხვდება ქვეყნის სამხრეთის თბილ რეგიონებშიც; ორივე მცენარე იაპონელი ხალხისათვის ძალზედ ცნობილია.

ფიჭვის ხეები თვალწამრტაც პეიზაჟებს ქმნიან და მათ შორის განთქმულია კიოტოს პერფექტურის ამანოკაშიდატე, სადაც ქვიშოვან სანაპიროზე თანმიმდევრულად დარგული 6000-ზე მეტი ფიჭვის ხე უმშვენიერეს ზღაპრულ ხედს ქმნის. ფიჭვის ხეები, რომელთა სიმაღლე ხშირად 40 მეტრს აღწევს, სანაპირო ზოლზე გამოიყენება ქარსაცავად მაშინ, როცა პატარა ფიჭვის ხეებს იყენებენ ბონსაისთვის, ან ბაღებისა და სახლების გასალამაზებლად.



კედარი (ვაგოშიმას პრეფექტურა)

ცნობილია, როგორც
იაკუშიმას კუნძულზე 16.4
მეტრი სიმაღლის ჯიომონის
კედარი, რომელიც
დაახლოებით 7200 წლისაა
(ფოტო AFLO-სგან)

იაპონიაში ფიჭვი წმინდა ხედ მიიჩნევა. ძველად ადამიანები თაყვანს სცემდნენ ბუნებას და მცენარეებსა და ხეებში ხედავდნენ ღვთაებრივი სულის მინიშნებებს. მაგალითად, ოდესღაც თაყვანს სცემდნენ მარადმწვანე ხეებს: ფიჭვს, კედარს, კვიპაროსს, რადგანაც მათ მოიზრებდნენ ზეციდან ჩასახლებული ღვთაებების საცხოვრისად. დღემდე შემონახული რიტუალებიდან აღსანიშნავია კადომაცუ, რაც სიტყვასიტყვით აღნიშნავს “კარიბჭის ფიჭვს” და წარმოადგენს სახლის შემოსასვლელების საახალწლოდ ფიჭვის ნედლი ტოტებით მორთვის ტრადიციას, რადგანაც იაპონელებს სწამდათ, რომ ამ ხერხით ღმერთებს საკადრისად მიიღებდნენ და პატივს მიაგებდნენ.

ფლორა ყოველდღიურ ცხოვრებაში



ალუბლის ყვავილობა
მარტსა და აპრილში, როდესაც ალუბლის ხეებია აყვავებული, ჩვეულებად იქცა პიკნიკის მოწყობა აყვავებულ ხეთა ჩრდილში. ალუბლის ყვავილებით ტკბებიან უენოს პარკში (ტოკიო) და ოსაკას კომუის პარკში (ოსაკა)

თუკი არსებობს ხე, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს იაპონიას, მაშინ ეს არის საკურა (ალუბლის ხე). საკურა, რომელიც აგრერიგად მშობლიურია იაპონიისთვის, უძველესი დროიდანვე იაპონელმა ხალხმა განსაკუთრებულ ხედ გამოარჩია. თანამედროვე იაპონელები ეგებებიან გაზაფხულზე აყვავებულ ალუბლის ხეებს ჰანამის (ყვავილების დღე-სასწაული) აღსანიშნავად და წელიწადის ამ დროს ეს დღესასწაული მრავალფეროვანი ცერემონიით აღინიშნება სკოლებსა თუ სხვადასხვა კომპანიებში. ტელევიზიები ავრცელებენ ამინდის პროგნოზს და გაზეთებში იბეჭდება

რუქები “ალუბლის ყვავილობის ადგილებისკენ მიმართულებათა შესახებ“, რადგან ყვავილობა იწყება ოკინავას ჩრდილოლოეთიდან და მთავრდება ჰოკაიდოში.

შემოდგომის დრო, როდესაც ფოთლები სხვადასხვაფრად იფერებიან, ბუნების სილამაზის განსხვავებულ აღქმას გვთავაზობს. გადმოცემის თანახმად, საუკუნეების წინ ხალხი წელიწადის ამ დროს ხეების ქვეშ მღეროდა და ცეკვავდა. დღეს კი, უმეტესწილად, ქალაქში მცხოვრები იაპონელები მანქანითა და მატარებლით მიემგზავრებიან შემოდგომის ფერების, განსაკუთრებით კი ნეკერჩხლის ფოთლების სანახავად.

ეკოლოგიის საკითხი

დღევანდელ ინდუსტრიულ იაპონიაში, მცენარეებმა დაკარგეს ძველი მნიშვნელობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა ბუნების რესურსის დაუზოგავი გამოყენება, ხეების უმოწყალო გაჩეხვა, გარემოს დაბინძურება, ხალხი, საბოლოო ჯამში, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანია ბუნებრივი გარემოს დაცვა და რეაბილიტაცია.

იაპონიის ფაუნა

ბევრი სახეობა და რელიქტია იაპონიის ფაუნის ნაწილი, რომელიც მეზობელ ქვეყნებში უბრალოდ არ გვხვდება.

კლიმატური პირობების წყალობით, იაპონიის მცენარეული სამყაროს მსგავსად, ქვეყნის ფაუნაც ძირითადად განსხვავებულია ერთმანეთისგან ქვეყნის ჩრდილოეთიდან სამხრეთით განლაგებულ იაპონიის კუნძულებზე. კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთში გვხვდება აზიური ტროპიკული სახეობის ცხოველები, ზომიერი კლიმატის ზონაში - კორეული და ჩინური ცხოველები, ხოლო ციმბირულ ზონაში - სუბარქტიკული ცხოველები.

კაშკაშა ფერებით შეფერილი ტროპიკული მარჯნისფერი თევზი, კუ, ზღვის გველი ამრავალფეროვნებენ რიუკიუს კუნძულების ტროპიკულ ზღვას, სადაც ასევე ბინადრობენ დიუგონები და შავი დელფინები. ზღვაში, ჩრდილოეთიდან ცენტრალური ჰონშიუს მიმართულებით, გვხვდება ზღვის ლომი და ნისკარტიანი ვეშაპი. არქტიკული რეგიონის ცხოველები, მაგალითად, როგორცაა ლომვეშაპი, ხანდახან სტუმრობს ჰოკაიდოს, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ესაზღვრება ოხოტის ზღვას.

იაპონიის ხმელეთის უკიდურეს სამხრეთში, რიუკიუს კუნძულებზე, ძირითადად ბინადრობენ ტროპიკული ცხოველები: ბიბილოიანი გველისმჭამელი არწივი, მფრინავი მელა და სხვადასხვა სახეობის ხვლიკები.

ჰონშიუს, შიკოკუს და კიუშიუს კუნძულთა ხმელეთზე ბინადრობს ტანჯუკი (ენოტი), სიკა ირემი, აზიური იხვი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული როგორც კორეის ფართოფოთლოვან ტყეებში, ასევე ჩინეთის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში. ციმბირის წიწვოვანი ტყეებში

ბინადრობს მურა დათვი, ტყის როჭო და ჩვეულებრივი ხვლიკი.

ცხოველთა საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ საიმიგრაციო პროცესსა და განსახლებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იაპონიის კუნძულების ბუნებრივად ფორმირება-ჩამოყალიბებამ, რადგან ხშირად ხდებოდა კუნძულთა არაერთგზის დაშორება და ისევე მიერთება აზიის კონტინენტთან. გარდა ამისა, ის ცხოველები, რომლებიც ბინადრობენ იაპონიის ამა თუ იმ ნაწილში, არ გვანან მათ მომიჯნავე მხარეს მდებარე აზიის კონტინენტზე მცხოვრებ ცხოველებს, უფრო მეტიც, ბევრი ცხოველის სახეობა მხოლოდ იაპონიაში გვხვდება.

ენდემური სახეობებიდან უნდა აღინიშნოს იაპონური ძილგუდა, იაპონური მაკაკა, სპილენძისფერი ხოხობი, იაპონური გიგანტური სალამანდრა და პრიმიტიული ჭრიჭინა. მეცნიერთა აზრით, რიუკიუს კუნძულები გაცილებით ადრე გამოეყო კონტინენტს ვიდრე ძირითადი კუნძულები და აქ ბინადრობენ პრერიის კოდალა და ამამის ეკლებიანი თაგვი. შიმოკიტას ნახევრკუნძულზე, ჰონშიუს ჩრდილოეთით, ბინადრობს ადამიანის მსგავსი მაიმუნი. ზღვის სიღრმეში გვხვდება ნალისებრი კიბორჩხალა, ლოკოკინას ნიჟარა და ფარფლებიანი ზვიგენი. იაპონური ზღვის ცხოველებიდან აღსანიშნავია გიგანტური ობობა, კიბორჩხალა (კიბოსებრთა ოჯახის ყველაზე დიდი წარმომადგენელი) და მტკნარი წყლის იაპონური გიგანტური სალამანდრა (ყველაზე დიდი ამფიბია დედამიწაზე, რომელიც ცოცხლობს დაახლოებით 50 წელი).

იაპონიის კუნძულებზე გავრცელებულია აზიური მიწის სალამანდრას, ციკადასა და ჭრიჭინას სხვადასხვა სახეობები. მხოლოდ მატერიკზე გვხვდება აფრიანი პეკლების რვა სახეობა.

იაპონიაში 90 000-ზე მეტი სახეობის ცხოველი ბინადრობს (ნოემბერი 2011), თუმცა მრავალი მათგანი გადაშენების პირასაა მისული. მაგალითად, იაპონური წაწვეტებულნიკარტიანი იბისი (Nipponia nippon) გადაშენების პირას იმყოფება 1997 წლიდან. ასევე გადაშენების საშიშროება ემუქრება შემდეგ სახეობებს: ირიომოტენსის კატას (Mayailurus iriomotensis), იაპონურ წავსა (Lutra nippon) და წეროს (Ciconia ciconia boyciana).

ცხოველები და იაპონური კულტურა

ცხოველთა გამოსახულებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იაპონურ კულტურაში. ჩინური კლასიკური ლიტერატურა არის იმ მასალის წყარო, სადაც ასახულია იაპონელების დამოკიდებულება სხვადასხვა ცხოველების მიმართ. პრეისტორიულ და უძველეს პერიოდებში იაპონურმა ელიტამ ჩინელებისგან გაითავისა ცხოველთა სიმბოლიკის ტრადიცია, მაგალითად, წერო და კუ ბედნიერებისა და დღეგრძელობის სიმბოლოებია და მერცხალი - ერთგული შემობრუნების სიმბოლო.

იაპონურ ფოლკლორში ზოგიერთ ცხოველს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. *ტანუკი* (ენოტი), რომელიც დაძრწის სოფლებთან ახლოს, ტრადიციულად ითვლებოდა ზებუნებრივი ძალების მქონე არსებად. ძველ ზღაპრებში იგი ხალხს აჯადოებდა, თუმცა მისი ოინები უფრო შიშის მომგვრელი იყო ვიდრე მავნებელი. სინამდვილეში მას ხშირად გამოსახავდნენ,

როგორც კომიკურ ცხოველს - დიდი მუცლითა და სათესლე ჯირკვლებით და ხელში საკვს ბოთლით.

ზებუნებრივი ძალის მქონე ცხოველად და მოსავლის ღმერთის *ინარი მოოჯინის* შიკრიკად მიაჩნდათ მელია, მისი მოხერხებულობისა და ჭკუის გამო. ძველად ფიქრობდნენ, რომ მელია გზას ასწავლიდა გზააბნეულ მოგზაურებს ღამით; სჯეროდათ, რომ მელას შეეძლო ადამიანის მართვა და ჭკუიდან შეშლაც. მთელს ქვეყანაში *ინარის* რწმენა დღემდე ცოცხალია და ტაძრებში მელიას დღესაც თაყვანს სცემენ.

ბუდისტურმა სწავლებებმა გავლენა მოახდინა ადამიანთა დამოკიდებულებაზე ცხოველების მიმართ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე არცერთ იაპონელს არ ჰქონდა ოთხფეხა ცხოველის დაკვლის უფლება; ცხოველს ანაცვლებდნენ თევზით. უძველესი ჩინური კალენდრის მიხედვით, არსებობს სამოცწლიანი ციკლი, სადაც ცხოველები (ვირთხა, ხარი, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი, მამალი, ძაღლი და ღორი) განასახიერებს 12 წლის თითოეულ ქვეციკლს. მაგალითად, იაპონიაში 2013 წელი იყო გველის წელი, 2014 წელი - ცხენის წელი, 2015 წელი - ცხვრის წელი და ა. შ. დღევანდელ იაპონიაში ამ კალენდრის მიხედვით თითქმის ყველა ადამიანი მის დაბადების წელს კონკრეტულ ცხოველს უკავშირებს. მაგალითად, თუკი ვინმე ამბობს: "მე დავიბადე ცხენის წელში" - ნიშნავს, რომ ამ ადამიანის ხასიათსა და ბედზე გავლენას ახდენს ის ცხოველი, რომელიც განაგებს მის დაბადების წელს.